შეიღებება

Ral: 7047

17.08.2021


17.08.2021

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 25 ივნისი 2021 წელი

სს "კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია" (ს/კ 201948063) მისი დირექტორის ვახტანგ ლაღიძეს სახით შემდგომში "მეიჯარედ" წოდებული და მეორეს მხრივ შპს "ჰოთ-დოგ ფექტორი" (ს/კ 400310793) მისი დირექტორის ალექსანდრე ჩიტუნაშვილის სახით შემდგომში "მოიჯარედ" წოდებული ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. „მეიჯარე“ გადასცემს იჯარით, ხოლო „მოიჯარე“ იღებს იჯარით „მეიჯარე“-ს კუთვნილ ობიექტზე მდებარე ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 114-ში 25 კვ.მ კომერციულ ფართს მე-17 შენობაში.
2. „მეიჯარე“ ვალდებულია გადასცეს მოიჯარეს კომერციული ფართი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
3. „მოიჯარე“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მეიჯარე“-ს კომერციული ფართის ქირა 1 100 ლარი დღგ-ს ჩათვლით უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველი თვის დასაწყისის 1-10 რიცხვამდე.
4. „მოიჯარე“ ვალდებულია გაუფრთხილდეს გადაცემულ ქონებას და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ჩააბაროს „მეიჯარე“-ს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
5. „მოიჯარე“ ვალდებულია გადაიხადოს ელ. ენერგიის, წყლის და სხვა კომუნალური გადასახადები.
6. „მოიჯარე“-ს უფლება აქვს „მეიჯარე“-ს თანხმობით განათავსოს , განაახლოს, შეცვლოს სარეკლამო მასალები, ფასადის იერსახე,.
7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის გასვლამდე წერილობით არ შეატყობინებენ ერთმანეთს ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ.
8. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადამე მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
9. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით და თუ ეს შეუძლებელია მაშინ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.
10. ხელშეკრულება ძალაშია 2021 წლის 10 აგვისტოდან და მოქმედებს 2022 წლის 10 ივლისამდე

მხარეთა რეკვიზიტები:

"მეიჯარე"

სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 114
ს/კ 201948063
დირექტორი
ვ. ლაღიძე

"მოიჯარე"

შპს „ჰოთ დოგ -ფექტორი“
ქ. თბილისი. ლ. თიგიშვილის პირველი შეს.4
ს/კ № 400 310793
დირექტორი
ა. ჩიტუნაშვილი